

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ  
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 180 (ECTS) კრედიტი, მათ შორის:

- სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი
- კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი

სასწავლო კომპონენტი შედგება სპეციალობის (48 ECTS) სავალდებულო და (12 ECTS) არჩევითი ელემენტისაგან. კვლევითი კომპონენტი კი (120 ECTS) სავალდებულო ელემენტისაგან.

სადოქტორო პროგრამის რეალიზაციის სტანდარტული ვადაა 3 წელი - 6 სემესტრი. სემესტრში – 30 კრედიტი,

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურაში ჩამოყალიბებული სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების ელემენტები უზრუნველყოფილია. ამასთან, პროგრამა იძლევა სტუდენტის ინდივიდუალური თემის გათვალისწინებით საგნების არჩევის შესაძლებლობას პირველი ორი სემესტრის განმავლობაში.

პროგრამის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია მისი კვლევითი კომპონენტი (120 ECTS) . იგი მოიცავს:

- ა. სადისერტაციო კვლევის ინდივიდუალური გეგმის მომზადება/პროსპექტუსი (18 ECTS). მოიცავს საკვლევო დისერტაციის შესავალ ნაწილს: აქტუალურობა, მიზანი, ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის მეთოდოლოგიური ბაზა, კვლევის მოსალოდნელი შედეგები, დისერტაციის დასრულების სავარაუდო გრაფიკი და სტრუქტურა, ბიბლიოგრაფიის დამუშავება;
- ბ. თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი: (72 ECTS = 24+24+24). კოლოქვიუმის წარმოდგენა ხდება წერილობითი ფორმით, კომუნიკაცია სამეცნიერო საზოგადოებასთან და დარგის სპეციალისტებთან კი პრეზენტაციის სახით. კოლოქვიუმის მიზანია დოქტორანტის მიერ წარმოებული კვლევების ცალკეული ნაწილის წარმოდგენა/პრეზენტაცია, რომლის დროსაც სტუდენტს ეძლევა საშუა-

ლება პირდაპირი კომუნიკაცია დაამყაროს აუდიტორიასთან. წარმოაჩინოს კვლევის შედეგები და გამოიმუშაოს პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები წარმოდგენილი ცალკეული დასკვნების დასაცავად.

**გ. სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა (30 ECTS).** კვლევითი კომპონენტის ეს ნაწილი ფრიად მნიშვნელოვანია და გადამწყვეტია. დოქტორანტის მიერ აღნიშნული კრედიტების ფარგლებში ხდება კვლევის დასრულება. შესაბამისად, ვლინდება მეცნიერულად დასაბუთებული ახლი შედეგები, მეცნიერული სიახლეები.

#### 4. სწავლების ენა - ქართული

#### 5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

- დავით ჯალაღონია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი  
სადოქტორო პროგრამა მოიცავს შემდეგ კონცენტრაციებს:
  - საბუღალტრო აღრიცხვა - ხელმძღვანელი, პროფესორი დავით ჯალაღონია
  - მარკეტინგი - ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი ბერულავა
  - მენეჯმენტი - ხელმძღვანელი, პროფესორი ლარისა თაკალანძე
  - ფინანსები - ხელმძღვანელი, პროფესორი ზურაბ ლიპარტია

#### 6. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
- შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) -B2 დონე;
- გასაუბრება სპეციალობაში კონცენტრაციების მიხედვით.
- დოქტორანტურაში მიღების წესი შეგიძლიათ იხილოთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: [www.sou.edu.ge](http://www.sou.edu.ge).; ან მოითხოვოთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატში. მისამართი, თბილისი, ანა პოლიტკოვსკაია №9.; ტელეფონი: 254-14-22.; 254-14-37.

## 7. პროგრამის მიზანი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნესის ადმინისტრირება ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების და განვითარების უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ბერკეტი. ბიზნესის ეფექტიანად წარმართვა საჭიროებს თანამედროვე ეკონომიკური პრობლემების სიღრმისეულ შესწავლას, ანალიზს და განზოგადებას. ბიზნესის მართვა და რეგულირება საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამის დასტურია გარდამავალ ეტაპზე ბიზნეს-საქმიანობაში რეალურად არსებული მთელი რიგი თავისებურებები. ბიზნესის ადმინისტრირება მოითხოვს მრავალწახნაგოვან, სისტემურ მიდგომას, რამდენადაც მას პრაქტიკულად შეხება აქვს არა მხოლოდ ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებებთან, არამედ იგი ორგანულადაა დაკავშირებული ტექნიკასთან, ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, მენეჯმენტის, აღრიცხვისა და აუდიტის, ფინანსების, მარკეტინგის საერთაშორისო მიღწევებთან და საზოგადოებრივი საქმიანობის თითქმის ყველა სფეროსთან. ბიზნესი, როგორც პრაქტიკული ეკონომიკა, მოითხოვს ხელსაყრელი ბიზნესგარემოს ფორმირებას, ჯანსაღი მაკროეკონომიკური, საინვესტიციო და კონკურენტული პირობების შექმნას. აქედან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ახალი ცოდნა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდება ეროვნული ბიზნესის ინტეგრირება საერთაშორისო ბიზნეს პროცესებთან. ბიზნეს-ადმინისტრატორები სიღმისეულად უნდა ფლობდნენ ცოდნას ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე. მათ უნდა გააჩნდეთ უნარი ბიზნესგარემოს ანალიზისა და პროგნოზირების საფუძველზე შეიმუშაონ მეწარმეობის განვითარების სრულყოფის კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები, უზრუნველყონ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკულ საქმიანობაში რეალიზაცია. ამასთან ერთად, უნდა შეეძლოთ აქტუალური პრობლემების გამოვლენა, პროგნოზირება და გადაწყვეტა, პრიორიტეტულ საკითხებზე მეცნიერული კვლევების ჩატარება და მიღებული შედეგების პრაქტიკაში რეალიზება. თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მაღალკვალიფიციური პედაგოგის მომზადება. აღნიშნული პროგრამა უნდა ემსახურებოდეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ახალი იდეებისა და ახალი ცოდნის დამკვიდრებას.

სადოქტორო პროგრამის მიზანი, კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს შემდეგი ამოცანების რეალიზაციაში:

- განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აუცილებელი სპეციალური დისციპლინების დაუფლება;
- კონკრეტული ეკონომიკური და ბიზნეს-რისკების ანალიზის თანამედროვე მეთოდებისა და კონცეფციების და უახლესი ტექნოლოგიების ათვისება;
- მიკროეკონომიკურ ურთიერთობათა მართვის სფეროში აქტუალური პრობლემების გამოკვეთა და მეცნიერული ანალიზი;
- ანალიტიკური აზროვნებისა და მეცნიერული კვლევისადმი შემოქმედებითი მიდგომა;
- თანამედროვე მეცნიერულ-პედაგოგიური მიღწევების და მსოფლიო გამოცდილების წარმატებით დაუფლება.

## 8. პროგრამის შედეგი

- **ცოდნა და გაცნობიერება**

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია დარგთაშორის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ისეთი ცოდნა, რომელიც იძლევა საშუალებას მოხდეს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრება, გაფართოება და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება. ამ მიმართულებით ინოვაციური მეთოდების გამოყენება. ამასთან ერთად, დოქტორანტს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში გააჩნია ბიზნესგარემოს ანალიზისა და პროგნოზირების საფუძველზე მეწარმეობის განვითარების სრულყოფის კონკრეტული წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავების თეორიული ცოდნა. ყოველივე ეს იძლევა საშუალებას დოქტორანტის მიერ განხორციელდეს პუბლიკაციები რეფერირებად ჟურნალებში საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან ერთად, დოქტორანტი ფლობს:

- უახლეს მიღწევებზე დამყარებულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ფუნდამენტალურ ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეულ დარგებში (საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები), აგრეთვე სპეციფიკურ სიღრმისეულ ცოდნას ერთ-ერთ ზემოთაღნიშნულ დარგში;
- ბიზნესის ადმინისტრირების საკითხების ანალიზისას სრულად აცნობიერებს დარგისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ თეორიულ და კვლევით მეთოდებს, მათ შორის ინტერდისციპლინარულ მეთოდებს.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნის საფუძველზე აქვს უნარი დამოუკიდებლად დაგეგმოს, განახორციელოს და ზედამხედველობა გაუწიოს ინოვაციურ კვლევას. ამასთან ერთად, შეუძლია შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე; ასევე, შეიმუშაოს მეწარმეობის განვითარების სრულყოფის კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები; უზრუნველყოს დარგის პრიორიტეტულ საკითხებზე მეცნიერული კვლევის ჩატარება და მიღებული შედეგების პრაქტიკული რეალიზაცია, ფლობს ბიზნესის მართვაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ანალიზის საფუძველზე ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებით ოპტიმალური ბიზნეს- გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენციას.

- **დასკვნის უნარი**

კურსადამთავრებულს შეუძლია ბიზნესის მართვისთვის აუცილებელი ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეების და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რაც აძლევს მას საშუალებას შეიმუშაოს ამ დარგის განვითარებისათვის საჭირო მეთოდოლოგიური და მეთოდიკური მიდგომები, მიიღოს სწორი და შედეგზე ორიენტირებული მმართველობითი გადაწყვეტილება და მოახდინოს არსებული პრობლემის ეფექტური გადაჭრა.

- **კომუნიკაციის უნარი**

კურსდამთავრებულს მიღებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში შეუძლია ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა. მას აქვს საშუალება ოპონენტებთან შევიდეს თემატურ პოლემიკაში, თავის კოლეგებსა და ფართო სამეცნიერო საზოგადოებას გასაგებად გადასცეს რთული და ხშირ შემთხვევაში სადავო და წინააღმდეგობრივი ინფორმაცია ინგლისურ ენაზე.

- **სწავლის უნარი**

კურსდამთავრებულს პროგრამის ფარგლებში მიღებული უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე შეუძლია არა მარტო ახალი იდეების ან პროცესების განვითარება, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საქმიანობისა და შემდგომი კვლევების განსახორციელებლად, არამედ აქვს შესაძლებლობა დაგეგმოს და მართოს სხვების სწავლის პროცესიც.

- **ღირებულებები**

სწავლებისა და კვლევის პროცესში, სამეცნიერო საზოგადოებაში, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მიღებულ ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

9. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით						ლექტორი
				საკონტაქტო	დამოუკიდებელ	I	II	III	IV	V	VI	
<b>პროგრამის სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი</b>												
<b>პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები - 48 კრედიტი</b>												
1.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	EDUC D 301	6	35	115	6						სსუ სრული პროფესორი <b>ჯემალ ჯინჯიხაძე/</b> პედაგოგიკის დოქტორი <b>ლელა რეხვიაშვილი</b>
2.	აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით	BUSS D 301	6	35	115	6						სსუ ასოცირებული პროფესორი <b>ნინო ხარეზავა</b>
3.	მიკროეკონომიკური თეორიები	BUSS D 302	6	35	115	6						სსუ სრული პროფესორი <b>რევაზ ხარეზავა</b>
4.	სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება	BUSS D 303	6	35	115	6						სსუ ასოცირებული პროფესორი <b>მალხაზ კუცია</b>
5.	პროფესორის ასისტენტობა 1	BUSS D 304	6	35	115				6			
6.	პროფესორის ასისტენტობა 2	BUSS D 305	6	35	115					6		
7.	თემატური სემინარი 1	BUSS D 306	6	35	115		6					
8.	თემატური სემინარი 2	BUSS D 307	6	35	115			6				
<b>პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები - 12 კრედიტი</b> <b>(სტუდენტი არჩეული თემის მიხედვით ირჩევს შესაბამისი კონცენტრაციის ორ საგანს პირველ და მეორე სემესტრში)</b>												
9.	აღრიცხვისა და აუდიტის კონცეფციები	BUSS D 308	6	35	115	*	*					სსუ სრული პროფესორი <b>დავით ჯალაღონია</b>

10.	საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკა	BUSS D 309	6	35	115	*	*					სსუ სრული პროფესორი დავით ჯალაღონია	
11.	მარკეტინგის სტრატეგიები და დაგეგმვა	BUSS D 310	6	35	115	*	*					სსუ სრული პროფესორი გიორგი ბერულავა	
12.	კვლევითი მეთოდები მარკეტინგში	BUSS D 311	6	35	115	*	*					სსუ სრული პროფესორი გიორგი ბერულავა	
13.	მენეჯმენტის კონცეფციები	BUSS D 312	6	35	115	*	*					სსუ ასოცირებული პროფესორი ლარისა თავალანძე	
14.	ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება	BUSS D 313	6	35	115	*	*					სსუ ასოცირებული პროფესორი ირმა დიხამინჯია	
15.	საერთაშორისო ფინანსები	BUSS D 314	6	35	115	*	*					სსუ სრული პროფესორი ზურაბ ლიპარტია	
16.	კორპორაციების ფინანსური და საბანკო ბიზნესის სტრატეგიები	BUSS D 315	6	35	115	*	*					სსუ სრული პროფესორი ზურაბ ლიპარტია ასოცირებული პროფესორი კობა ზასილაია	
<b>პროგრამის კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი</b>													
17.	სადისერტაციო კვლევის ინდივიდუალური გეგმის მომზადება/პროსპექტუსი	BUSS D 316	18	65	385		18						
18.	კოლოქვიუმი 1	BUSS D 317	24	65	535			24					
19.	კოლოქვიუმი 2	BUSS D 318	24	65	535				24				
20.	კოლოქვიუმი 3	BUSS D 319	24	65	535					24			
21.	სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა	BUSS D 320	30	65	685						30		
<b>სულ</b>			<b>180</b>			<b>30</b>		<b>30</b>		<b>30</b>		<b>30</b>	

## 10. სადოქტორო პროგრამაში წარმოდგენილი კონცენტრაციების მიხედვით არსებული სავარაუდო თემატიკის ჩამონათვალი

### *საბუღალტრო აღრიცხვა:*

- აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ეროვნულ სტანდარტებთან მათი ჰარმონიზაციის ძირითადი მიმართულებები;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები;
- მატერიალური აქტივების აღრიცხვა და აუდიტი;
- საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვისა და აუდიტის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები;
- საწარმოს კაპიტალის ფორმირებისა და გამოყენების ძირითადი მიმართულებები;
- შიდა აუდიტი: პრობლემები და მათი რეგულირების მექანიზმები;
- არამატერიალური აქტივების აღრიცხვისა და აუდიტის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები;
- საფინანსო და საგადასახადო აღრიცხვის ჰარმონიზაციის მეთოდოლოგიის სრულყოფის მიმართულებები;
- საგარეოეკონომიკური საქმიანობის აუდიტი კომერციული ოპრგანიზაციებში;
- სავაჭრო ორგანიზაციების ეკონომიკური პოტენციალის ანალიზი და კონტროლი;
- ფინანსური ანგარიშგების აუდიტი უცხოური ინვესტიციების მფლობელ სამეურნეო სუბიექტებში;
- მცირე საწარმოების ბიუჯეტირების პრობლემები მმართველობითი აღრიცხვის სისტემაში;
- სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური აქტივების აღრიცხვა და აუდიტი;
- კომპლექსური საინვესტიციო პროექტების ანალიზი და შეფასების მეთოდები

### *მარკეტინგი:*

- ფირმის თეორიისადმი მარკეტინგული მიდგომები
- მარკეტინგული ორგანიზაციისა და მარკეტინგული სტრატეგიებს შორის ურთიერთკავშირი და მათი გავლენა ფირმის საქმიანობაზე (საქართველოს საწარმოების მაგალითზე)
- ბრენდის კაპიტალი, მისი დეტერმინანტები და როლი ფირმის საქმიანობაში
- საქართველოში მარკეტინგული ორიენტაციის დეტერმინანტები და შედეგები
- ტრანსაქციული დანახარჯების და ნდობის როლი ფირმებს შორის კოოპერაციაში
- ბიზნეს-მარკეტინგის რეგიონალური თავისებურებები თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში;



### **მენეჯმენტი:**

- კორპორაციული მენეჯმენტის თავისებურებები საქართველოში;
- ტრანსნაციონალური კომპანიები საქართველოში და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე.
- სოციალური მენეჯმენტი საქართველოში: განვითარება, პერსპექტივები.
- ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ფორმები საქართველოში.
- მცირე ბიზნესი საქართველოში: აქტივიზაციის რეგიონული ფაქტორები;
- კონკურენტუნარიანობისა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები საქართველოს კომპანიებში (მომსახურების სფეროს მაგალითზე);
- სამედიცინო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები საქართველოში;
- სამეწარმეო სტრუქტურების კონკურენტუნარიანობის ამაღლება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდების საფუძველზე;
- მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმის თავისებურებები საქართველოს საწარმოებში;
- 6. სამეწარმეო სტრუქტურის ორგანიზაციულ ცვლილებათა რისკის მართვის სრულყოფა

### **ფინანსები:**

- ბიზნესის ადმინისტრირების სტრატეგიული დაგეგმვის თავისებურებანი ანტიკრიზისული პროცედურების ჩარჩოებში;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები და პირობები;
- კორპორაციის ფინანსები – თეორია, მეთოდები, პრაქტიკა;
- საბანკო ბიზნესის განვითარების თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები;
- საერთაშორისო ბიზნესის და მსოფლიო ეკონომიკური რისკების პერსპექტივები თანამედროვე პირობებში;
- ბიზნეს-რისკების მდგრადობა და მისი რეიტინგული შეფასების მეთოდური საფუძვლები;
- საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა და მისი რეგულირების ცალკეული ასპექტები.